საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 07

დაბა ჩაქვი „30“ იანვარი 2018 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების კონკურსის გამოცხადების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 142-ე მუხლის მე-6 პუნქტის, უმალესი საბჭოს აპარატის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,ნ,, ქვეპუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ნოემბრის N 62 ბრძანებით დამტკიცებული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის, მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის ხელშეწყობის მიზნით,

ვბრძანებ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში 2018 წლის 31 იანვრიდან გამოცხადდეს სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი.
2. იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე (www.sca.ge) განათავსოს კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია.
3. ეს ბრძანება ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30), კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მაია ხაჯიშვილი